საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-10/84

ქ. ბათუმი 22 სექტემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს მიერ - ,,ERASMUS+" პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში ინდუსტრიის 4.0 პარადიგმის კონტექსტში საქართველოსა და უკრაინაში" ფარგლებში კომპიუტერული პროგრამის (ერთ წლიანი ლიცენზიით) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (,,ბსუ") არის ,,Erasmus +" ინსტიტუციური განვითარების გრანტის - ,,უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში ინდუსტრიის 4.0 პარადიგმის კონტექსტში საქართველოსა და უკრაინაში" (,,Boosting the role of HEls in the industrial transformation towards the Industry 4.0 paradigm in Georgia and Ukraine- HEIN4", საგრანტო პროექტის ნომერი: 609939-EPP-1-2019-1-BE-EPPKA2-CBHE-JP, გრანტის ხელშეკრულების ნომერი: 2020-0022/001-001) ბენეფიციარი. საგრანტო პროექტით გათვალისწინებულია ,,ვირტუალური წარმოების ლაბორატორიის" შექმნა, რომლის ამოცანაა ეკონომიკისა და მრეწველობის წარმომადგენლების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსების განხორციელება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, სტუდენტებისა და ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლებში ინოვაციური უნარების განვითარება-გაძლიერება სხვადასხვა სასწავლო კურსების შეთავაზების გზით. საგრანტო პროექტის შეუფერხებლად წარმართვისთვის, საჭიროა ინტერნეტით გამოწერის გზით, პროექტით გათვალისწინებული კომპიუტერული პროგრამის - Autodesk 3DS MAX (1 ლიცენზია) ერთწლიანი ლიცენზიის სახელმწიფო შესყიდვა.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) წესდების მე-15 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საგრანტო პროექტის მენეჯერის, ლელა თურმანიძის №MES 8 21 0000110918 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის, ზვიად ბერაძის №MES 1 21 0000928293 სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსის, გენად აბულაძის №MES 6 21 0000948179 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. კომპიუტერული პროგრამის - Autodesk 3DS MAX, 1 ლიცენზია, (კლასიფიკატორის (CPV) კოდი_48100000 - პროგრამული უზრუნველყოფის სამრეწველო პაკეტები) ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისათვის დაევალოს:

ა) ბსუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს 1700 (ერთი ათას შვიდასი) დოლარის გადატანა კორპორატიულ (ბიზნეს) ბარათის ბალანსზე;

ბ) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, ზვიად ბერაძესა და ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტ, ირინე ბერიძეს კორპორატიულ (ბიზნეს) ბარათის გამოყენებით, ზემოაღნიშნული პროგრამის ლიცენზიის, ინტერნეტით გამოწერის გზით 1 წლის ვადით შესყიდვის განხორციელება.
გ) ბსუ-ს შესყიდვების სამსახურს, შესყიდვის განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **იაკინთე ჩხარტიშვილი**